ჟურნალ „ოსკარის" დამატება
№ 4
ფასი 40 თ.

# ფან-კლუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 თებერვალი, 2003



რომელმა ფანმა დაამახსოვრა ყველაზე ძალიან თავი ზურა ხაჩიძეს?



შეხვდი ქეთა თოფურიას პირისპირ „ფან-კლუბის" დახმარებით. წაიკითხე მე-16 გვერდზე



ლაშა კუკულაძის თუთიყუშის გაჭირვება



აპირებს თუ არა დაოჯახებას დათო?



რამდენი წლისაა სოსო თოლორაია?



რამდენი წლის იყო შაკირა, როცა მისი პირველი ალბომი გამოვიდა?



რატომ ატარებდა ქეთა პარიკს?

# კითხვა-პასუხი

**რ**ა სახელს დაარქმევს „კახუჩელა“ თავის მომავალ შვილს?
ნინო, 17 წლის



– როგორც კახამ აღნიშნა, ჯერ არ მოუფიქრებია შვილის სახელი.

**რ**ოგორ მოახერხა მერაბ სეფაშვილმა, რომ ყველა ასაკის მსმენელს ასე შეაყვარა თავი?
თაკო, 18 წლის



მერაბი: – ეს, ალბათ, იმ სიმღერების წყალობით მოხდა, რომლებსაც ვასრულებ.

**რ**ა სიმაღლისაა და რამდენი კილოა თეა გობეჯიშვილი?
ნინი, 14 წლის



– როგორც თეამ აღნიშნა, იგი სიმაღლით 172 სმ-ია, ხოლო წონით 52 კგ.

**რ**ა მანქანა შეიძინა თამთა გოგუაძემ?
ეკა, 19 წლის



– თამთამ თავისი ჰონორარით შეიძინა მუქი შინდისფერი BMW.

**ს**ადაურია ნინო ქათამაძე?
ეკა, 12 წლის



– ნინო ქობულეთელია. იქ დაიბადა და სკოლაც იქ დაამთავრა.

**ვ**ისთან ერთად ცხოვრობს მაია ჯაბუა?
თეაკო, 14 წლის



– მაია ჯაბუა შვილებთან და დედასთან ერთად ცხოვრობს.

**რ**ა ჰქვია სინამდვილეში „რაჯას“?
ქეთი, 16 წლის



– „რაჯას“ აჩიკო ჰქვია, სხვათა შორის „ჩიბოსაც“

**დ**ებ ფოცხიშვილებში რომელია უფროსი, ბასა თუ თამრიკო?
გიო, 12 წლის



– უფროსი და – თამრიკოა, იგი 3 წლით უფროსია ბასაზე.

გაზეთი “ფან-კლუბი” ჟურნალ “ოსკარის” დამატებაა.
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
ჟურნალში მოყვანილი ჭორებისა და კულუარული ინფორმაციის შესახებ რედაქცია პასუხს არ აგებს.

მთ. რედაქტორი: ნოდარ მელაძე.
რედაქტორის მოადგილე: თამუნა გონგაძე.
ჟურნალისტები: ნინო კუტალაძე, თამთა მჭედლიშვილი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვის შემთხვევაში „ფან-კლუბის“ მოხსენიება აუცილებელია.

**ჰ**ყავს თუ არა და-ძმა ქრისტინეს?
გოგა, 14 წლის.



ქრისტინე: – არა, მე არც ერთი არ მყავს. სამაგიეროდ, მყავს ბევრი დეიდაშვილი.

**რ**ომელია ზუკას საყვარელი კერძები?
ნინო, 10 წლის



– ზუკას ძალიან უყვარს შემწვარი კარტოფილი და ყვავილოვანი კომბოსტო.

**რ**ამდენი კილოა ზუკა?



ზუკა: – მე 36 კილო ვარ

**რ**ოგორი გოგონები მოსწონს კახა კუხიანიძეს?

კახა: – მომწონს ხორბლისფერი კანის, მწვანე თვალება, საშუალო სიმაღლის გამომწვევი გოგონები, რა თქმა უნდა კარგი ტანით და ა.შ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კითხვა-პასუხი

**ს**ად ცხოვრობს თამთა ჭელიძე?

თეა, 13 წლის



– თამთა ამჟამად „ვორონცოვზე“ ცხოვრობს.

**რ**ა ჰქვია გია გაჩეჩილაძის ქალიშვილს?

ქეთი, 14 წლის



– გიას ქალიშვილს ირინე ჰქვია.

**კ**ახა, რომელია შენი საყვარელი სუნამო?

ნინო, 14 წლის



კახა: – ამჟამად ვხმარობ გუჩის „რაშის“ და ძალიან მომწონს იგი. ასევე ვხმარობ „იოჯის“ და ქრისტიან დიორის ერთ-ერთ სუნამოს.

**ქ**ეთა თოფურიას საყვარელი ხილი.

თეა, 15 წლის



– ქეთას ძალიან უყვარს ვაშლი და კარალიოკი.

**რ**ატომ არ გადის I არხზე სერიალი „ძილის წინ“?

დათო, 15 წლის



– დათო, სერიალი „ძილის წინ“ სულ მალე გავა ახალ ტელეკომპანიაზე – „ტელეიმედი“.

**დ**ათო მიიღებს მონაწილეობას 14 თებერვლის კონცერტში?



– არა, დათო არ იღებს 14 თებერვლის კონცერტში მონაწილეობას.

**ჰ**ყავს თუ არა შვილი მამუკა ბერიკას?



– კი, ბერიკას ერთი ვაჟი ჰყავს, იგი ათი წლისაა.

**ვ**ისი გადაღებულია „ემის“ ახალი კლიპი?

ქეთინო



– „ემის“ ახალი კლიპი გადაიღო დათო იმედაშვილმა.

**რ**ამდენი წლისაა სოსო თოლორაია?



– სოსო 23 წლისაა.

## ჭორულა-ჭორულა ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



თურმე, დათო გომართელის გარდერობში, უამრავ ფეხსაცმელს წააწყდებით, თუმცა, მომღერალი მათ კოლექციონერად არ აღიარებს თავს. როგორც გაირკვა, იგი უპირატესობას ანიჭებს ხარისხიან ძვირადღირებულ ფეხსაცმელს, რომელშიც თავისუფლად და კომფორტულად იგრძნობს თავს. – "მირჩევნია „კარგი“ თანხა გადავიხადო და მაღალი ხარისხის ფეხსაცმელი შევიძინო, ვიდრე იაფფასიანი და ერთ კვირაში ისევ საძებნელი", – აცხადებს მომღერალი.



თურმე, მაია ჯაბუა არასოდეს ითვლის ფულს, არც არასდროს ახსოვს, რაში რა გადაიხადა და გამობრუნებულ ხურდასაც არ ამოწმებს. – "მიკვირს იმ ადამიანების, რომლებსაც ახსოვთ, ორი-სამი წლის წინ რა თანხა გადაიხადეს რაღაც კონკრეტულ ნივთში. როცა რაიმეს შესაძენად მივდივარ, დაახლოებით ვიცი, რამდენი მაქვს თანხა და მეყოფა თუ არა "იმ რაღაცის" შესაძენად," – აცხადებს მომღერალი.



ლალი ტოტიკაშვილს მამაკაცთან ურთიერთობისას აქცენტი თვალებზე აქვს გადატანილი. თვლის, რომ „თვალი სულის სარკეა“ და იგი საუკეთესოდ მეტყველებს პიროვნებაზე. თუ მოდელს ფიზიკურად არ მოეწონება საპირისპირო სქესის წარმომადგენელი, იქვე წყვეტს მასთან კავშირს. გამოდის, რომ ლალი ვიზუალურ მხარეს ანიჭებს უპირატესობას.

# ჭრელა-ჭრელა ამბები



თურმე, მამუკა ონაშვილს, ადრე, შეყვარებულისთვის თავი რომ მოეწონებინა, ერთი სასაცილო ამბავი გადახდენია. ამ გოგონასთან ერთად ახალგაზრდა (და შესაბამისად გამხდარი) მომღერალი დიდის ამბით ასულა მწვანე კონცხზე და იმ მიზნით, რომ რჩეულს თავს მოაწონებდა თავისი სპორტული მონაცემებით, კლდიდან გადმომხტარა. იმის ნაცვლად რომ წყალში ოსტატურად, თავით ჩაშვებულიყო, შერცხვენილი მამუკა მუცლით დაშვებულა. თუ რა დღეში ჩავარდებოდა ჩვენი საყვარელი მომღერალი, ძნელი წარმოსადგენი ნამდვილად არ არის.



როგორც შევიტყვეთ, ყველაზე მეტად რომა რცხილაძეს ჭორაობა აღიზიანებს. ცოლის „პადრუგებს“ ყოველთვის „ტუქსავს“ თურმე, თქვენ რას აკეთებთ, რითი ხართ ვინმეზე მეტიო?! მუსიკოსი თვლის, რომ ჭორიკნობა ბოროტების პირველი ეტაპია. – “ხშირად საკუთარ თავსაც კი არ ვუყვები სხვის საიდუმლოს, იმისი შიშით, ვინმესთან რომ არ წამომცდეს”, – აცხადებს „სპილო“.



თურმე, „მამულიჩას“ კლასელმა გოგონამ სიყვარული ტუალეტში აუხსნა. წარმოიდგინეთ, ოთხი გოგონა, რომლებსაც თმებით უჭირავთ მერვეკლასელი „მამულიჩა“ და ძალით მიათრევენ ბიჭების საპირფარეშოში. რა დღეში უნდა ჩავარდნილიყო გოგონებისგან შეწუხებული კახა, ალბათ, მიხვდით, არა?! აუხსნია იმ „ხულიგანკას“ სიყვარული და მერე გაუთავისუფლებია თანაკლასელი.

# ჩემი ოცნების ქალს, ლელა წურწუმიას

## წერილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო“. მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, მინდა ჩემი წერილი ლელა წურწუმიას დავუწერო. გამარჯობა ძვირფასო ლელა, მინდა ჩემი ოცნებებით ავსებული გული, შენს წერილში დავაცარიელო. მე შენ უსაზღვროდ მიყვარხარ იმ დონემდე, რომ დღე და ღამე შენს სიმღერებს ვუსმენ, შენთან შეხვედრას დიდი ხანია ვნატრობ და ეს ნატვრა ალბათ მალე ახდება.



ველოდები 14 თებერვალს, „ვალენტინობას“ სპორტის სასახლეში, მინდა გავიგო სინამდვილეში როგორი ხარ. ერთი სული მაქვს ახალ ალბომს როდის გამოუშვებ, რომ ვიყიდო და შენი სიმღერებით სული მოვითქვა. ეს წერილი დიდი სიყვარულის გამოსახატავად პატარაა, მაგრამ არა უშავს, მომავალში ალბათ სამ ამდენს დავწერ. აბა კარგად ძვირფასო ლელა. დიდი სიხარულითა და სიყვარულით.

**ნატო, 15 წლის**

*(სტილი დაცულია)*

## წერილი ლელა წურწუმიას

ქალბატონო ლელა, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ და უდიდეს პატივს გცემთ. უსაზღვროდ მიყვარს თქვენი სიმღერები. ჩემი და ჩემი მეგობრების აზრით, თქვენ მართლაც არაჩვეულებრივი ადამიანი ხართ.

**დიდი სიყვარულით,**
**სოფიკო ხელაია**
**და მარი თოფურია**

*(სტილი დაცულია)*

## კახა კუხიანიძეს

გამარჯობა ჩემო საყვარლებო. პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა მოგიხადოთ იმისთვის, რომ შემიძლია ამ გაზეთის მეშვეობით ჩემს საყვარელ მომღერალს მოვეფერო და მოვესიყვარულო. ახლა კი მინდა ჩემს კახას მივმართო. კახა შენ ხარ ჩემი ცხოვრების აზრი. უშენოდ სიცოცხლე წარმოუდგენელია. ჩემს ოთახში სულ შენი პლაკატებითაა დაფარული კედლები. შენს პირველ სიმღერაზე ცუდად ვხდები. არ არსებობს რადიოში მაგ სიმღერამ გაიჟღეროს და მე არ ვიტირო, ჩემო სიცოცხლე ეგრე გააგრძელე. უკვე წარმომიდგენია შენი და იას დუეტი როგორი



იქნება. აბა დაგემშვიდობები, გისურვებ წარმატებებს.

„სიყვარულს ნუ ეძებ,
გავა დრო და თვითონ
გიპოვის“.

**ეკა, 15 წლის**

*(სტილი დაცულია)*

## ნინი ქარსელაძეს



ნინი, მინდა დიდი სიყვარულით გითხრა, რომ შენ ძალიან კარგი მომღერალი ხარ. მიყვარს შენი სიმღერები. განსაკუთრებით კი სულ ბოლო – „ჩემი ქალაქი“. ძალიან კარგი კლიპია. სკოლაში სიმღერის წრე გაიხსნა და მეც შევედი. მინდა, რომ შენნაირი კარგი მომღერალი გამოვიდე. ნინი მალე დაბადების დღე მექნება, იმედია მეწვევი. მე შენთან ახლოს გვერდით სადარბაზოში ვცხოვრობ და მინდა შენთან ვიმეგობრო.

**ანა, 12 წლის**

## კახა ცისკარიძეს

გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო“. პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა გითხრათ, რომ ისეთი საოცარი გაზეთი გამოუშვით, როგორიც „ფან-კლუბია“! მე პირველად ვწერ წერილს, რომელიც მინდა მიუძღვნა კახა ცისკარიძეს.



გამარჯობა კახა! ვგიჟდები შენზე. შენ ჩემი საყვარელი მომღერალი ხარ. დღე და ღამე შენზე ვფიქრობ. ძალიან მინდა გაგიცნო ახლოს და გითხრა ყველაფერი რასაც შენზე ვფიქრობ. შენი შვილიც, ალბათ შენსავით მეყვარება. სულმოუთქმელი ველოდები მის დაბადებას. კახა, ჩემი სიყვარული მინდა პატარა ლექსით გამოვხატო, რომელიც მე დავწერე შენთვის.

**„ღამეა და ირგვლივ სიჩუმე დგას**
**შენზე ოცნებას გავატან ქარს**
**რა ვქნა მიყვარხარ, ჩემო კახუჩა**
**ვიქნები შენთან შენი თამუჩა!“**

**თამუნა, 30 წლის**

# მერაბ სეფაშვილს

## წერილები

გამარჯობა „ფან-კლუბელებო". მე პირველად ვწერ წერილს და ძალიან მიხარია, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით შემიძლია დაველაპარაკო ჩემს საყვარელ მომღერალს – მერაბ სეფაშვილს.

გამარჯობა მერაბ! მე შენი ერთგული ფანი ვარ. ვგიჟდები შენზე. შენ ნამდვილი მომღერალი ხარ, შენ სიმღერებს, რომ ვუსმენ ცუდად ვხდები, ყოველთვის ვტირი. დედა სულ მეჩხუბება, რომ არ შეიძლება ასე გიყვარდეს მომღერალიო. მთელი ჩემი ოთახი შენი პლაკატებითაა სავსე. ჩემ ყველა წიგნსა თუ რვეულზე შენი სურათებია დაკრული. გულს ვერ ვუდებ ვერაფერს, ვერც ვმეცადინეობ, აღარც ამხანაგებთან დავდივარ, მხოლოდ შენზე ვფიქრობ. სულ შენი სახე მელანდება და ყურებში სულ შენი ხმა მესმის. რა ვქნა როგორ მოვიქცე აღარ ვიცი. ყველა ჩემმა მეგობარმა იცის, რომ ვგიჟდები შენზე. ზოგი მეჩხუბება, ზოგიც დამცინის, მაგრამ მე არავის არ ვუსმენ. ვოცნებობ შენზე და შენს გაცნობაზე. არც ერთ შენს კონცერტს არ ვტოვებ. სულგანაბული ვუსმენ შენს სიმღერას



და ვოცნებობ... ვოცნებობ შენზე ჩემო მერაბ, ჩემო უსაყვარლესო და უძვირფასესო. მეამაყება, რომ ჩვენ, ქართველებს შენნაირი ნიჭიერი მომღერალი გვყავს. მერაბ, მირჩიე რამე, როგორ მოვიქცე, ვიცი, რომ სისულელეა შენზე ფიქრი, შენ სხვისი ხარ და არასდროს იქნები ჩემი. თუ „ფანკლუბში" მოგიწვევენ, აუცილებლად მოვალ და პირადად გაგიცნობ. პირადად გეტყვი ყველაფერს რასაც ვფიქრობ და განვიცდი შენზე.

მე მთელი შენი ოჯახი მიყვარს, შენი ცოლიც და შვილები. საოცარია, რომ შენ ყველა თაობის საყვარელი მომღერალი ხარ. მერაბ, ვოცნებობ შენს ახლოს გაცნობაზე. ძალიან გთხოვ ჩემი წერილი უყურადღებოდ არ დატოვო იცოდე რომ შენ ჩემი სახით ისეთი ფანი გყავს, რომელიც დღე და ღამე შენზე ლოცულობს. გისურვებ დიდ წარმატებებს პირად ცხოვრებაში და შემოქმედებით საქმიანობაში.

შენი ერთგული ფანი

**ნატალია, 25 წლის**

# კითხვა-პასუხი

**ა**პირებს თუ არა დაოჯახებას დათო?

ეკა, 20 წლის



– როგორც დათომ თქვა, ეგ ღმერთმა იცისო.

**რ**ა ხნისაა ლელას მარიკო?



– მარიკო მალე ერთი წლის გახდება.

**ზ**ურა, როგორ ფიქრობ, რატომ ხარ ჯგუფში ყველაზე პოპულარული?



ზურა: – მე არ ვფიქრობ, რომ ჯგუფში ყველაზე პოპულარული ვარ. „ქუჩის ბიჭებში" ყველაზე პოპულარული პატარა ნიკუშა ლომიძეა.

**რ**ოგორი გოგონები მოსწონს ლაშა კუკულაძეს?

ირინა გვიშიანი



ლაშა: – განსაზღვრულად შავგვრემანი ან ქერა არ, სულერთია, თავისი სილამაზე აქვს ყველა გოგოს. ჩემთვის უმთავრესია სულიერება, ვიდრე გარეგნული მხარე. შეიძლება გოგომ ფიზიკურად მოგხიბლოს, მაგრამ შინაგანად ცარიელი იყოს. ამას მირჩევნია ნაკლებად ლამაზი და სულიერად მდიდარი გოგონა.

# ჭორულა-ჭორულა ამბები



ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩიკო გულედანს საერთოდ არ ჰყვარებია პირად ცხოვრებაზე საუბარი – "მე არ მინდა ის, რაც ჩემი პირადულია, სააშკარაოზე გამოვიდეს და ხალხის განსჯის საგნად იქცეს"; – აცხადებს მომღერალი. თურმე, ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აჩიკოსთვის აუხსნიათ სიყვარული. მუსიკოსს, გარდა იმისა, რომ შეიძლება ერთი სიყვარულის ობიექტი ჰყავდეს, მოსწონდეს სხვებიც. – "კაცებს ქალები მოსწონთ, მაგრამ უყვართ ერთი; პრობლემა ისაა, რომ მათ გამო კაცი ათასგვარ სისულელეს ჩადის", – ამბობს აჩიკო.



„მაესტროს" ალმასრულებელ დირექტორს ელენე კვირცხალიას, იგივე „ბაკას", რომელსაც თქვენ კარგად იცნობთ გადაცემით „უცნობი", თურმე, ცურვისას ერთი უცნაურობა სჭირს. თუ რაღაცაზე გაეცინა შეიძლება დაიხრჩოს, რადგანაც ცურვის ილეთებს ვეღარ იყენებს. მეგობრები ამით გადასარევად ერთობიან, თუმცა, ყველაფერი ძვირად უჯდებათ, ვინაიდან, სწორედ მათ უხდებათ შემდეგ „ბაკას" წყლიდან ამოყვანა.



თურმე, ნუ იტყვით და "ბუკა" თავისი ვარცხნილობით არც მეტი და არც ნაკლები თინა ტერნერს ბაძავს. ამაში მაშინვე დარწმუნდებით, როგორც კი პატარა მომღერლის ვარცხნილობას გაიხსენებთ. მას თითქოს მართლაც აქვს ისეთი ორიგინალური და აჩეჩილი თმები, როგორიც დიდ ტერნერს. სხვა რაში ბაძავს იგი დიდ მომღერალს ეს თქვენ დაადგინეთ.

# „და როცა ღამით ჩაექინება დედა ღვთისმშობელს, მე მთვარის შუქზე შენს სიყვარულს დავუდარაჯებ“

## ზურა ხარიძეს



გამარჯობა ჩემო ძვირფასო „ფან-კლუბელებო“, როგორ ხართ?! მე თქვენი წყალობით კარგად ვარ, რადგან ჩემი წერილები არც ერთი უყურადღებოდ არ დაგიტოვებიათ და ამისათვის დიდი მადლობა მინდა მოგიხადოთ. ახლაც უნდა გამახაროთ და ეს წერილი გამომიქვეყნოთ.

ზურა როგორ ხარ, ძალიან მინდა, რომ ყოველთვის კარგად იყო და უფალი გფარავდეს. კიდევ მინდა გითხრა ისიც, რომ ძალიან, ძალიან და კიდევ ძალიან მიყვარხარ. შენით ვცოცხლობ და შენით ვსუნთქავ, მოკლედ ის რომ მე ვიცინი და ვმხიარულობ შენი ხმისა და შენი დამსახურებაა. ყველგან შენზე ვფიქრობ, სკოლაშიც, ქუჩაშიც და სახლშიც. ყველა რვეული შენი სახელით მაქს აჭრელებული, წიგნი არ არის შენი სურათი რომ არ მედოს, სულ ჩემთან ხარ.

მოკლედ, არ მინდა ბევრი ლაპარაკით თავი მოგაბეზრო და იმას გეტყვი, რომ ძალიან დიდ პატივს გცემ. რამდენი ლამაზი ბიჭი დადის ამ ქალაქში, მაგრამ მთელი მსოფლიოს ბიჭებს შენ მირჩევნიხარ და მათ შორის ჩემთვის ულამაზესი ხარ. შენ მათ შორის ბრწყინავ კიდეც. გთხოვ ამიხდინე ოცნება, რომელსაც შენი გაცნობა ჰქვია. გთხოვ...

„მე სავსე მაქვს გული
შენი ტრფობით

### მიყვარხარ მთვარემდე

შენ არ გესმის ჩემი გულის
ძგერა,
ისე უნდა დავიტანჯო —
მუდამ
მიყვარხარ და თქმაც
ვერ გამიბედავს.
როგორც შველი
ვხეტიალობ ველზე,
განწირულს აღარა მაქვს
მე შველა,
საწამლავი მე დავლიე
შენთვის,
გესმის კარგო ჩემი
გულის ძგერა“.

*დიდი მადლობა „ფან-კლუბს“,*
*ზურაზე გაგიჟებული*
ნინო, 16 წლის
*(სტილი დაცულია)*

# ჩემს საყვარელ მომღერალს, დათო ხუჯაძეს



გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო“ და „ოსკარელებო“. მე, თქვენი ერთგული მკითხველი ხატია, ძალიან გთხოვთ, რომ ეს წერილი არ დამიტოვოთ უყურადღებოდ, რადგან ეს ჩემი პირველი წერილია.

გამარჯობა დათო, მე შენი ერთგული მსმენელი ვარ და ძალიან მიყვარხარ. ყოველთვის, როდესაც ეკრანზე გიყურებ ვხვდები, რომ მართლაც ნიჭიერი მომღერალი ხარ და გულში ვიტყვი ხოლმე, ნეტა ყველა დათოსნაირი იყოს მეთქი. ძალიან მიხარია, რომ შენ პოპულარული ხარ არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. მე ვამაყობ შენით მიხარია, რომ ყველა გაფასებს და პატივს გცემს. შენ მართლაც დაიმსახურე ეს პატივისცემა. მე ყოველთვის ვკითხულობ შენს შესახებ, მნიშვნელობა არა აქვს ეს „ფან-კლუბი“ იქნება თუ სხვა ჟურნალი ან გაზეთი. გულდასმით ვკითხულობ შენს ინტერვიუებს და უფრო ახლოს გეცნობი.

„ბიჭისათვის სიყვარული იაა,
გოგოსათვის მთელი
ისტორიაა“!

„მე ყველაფერი ცისფერი
მიყვარს
ცაც, ცისფერია,
ზღვაც ცისფერია,
მაგრამ მე შენი თვალები
მიყვარს
და ეს თვალები
თაფლისფერია“

*დიდი მადლობა „ფან-კლუბს“ და „ოსკარს“,*
*დათოს ფანი*
*ხატია, 15 წლის*
*(სტილი დაცულია)*

# ქეთა თოფურიას



გამარჯობა „ფან-კლუბელებო“. ისე მიხარია თქვენი გაზეთის გამოსვლა, მე მგონი ისე, დედაჩემს არ გახარებია ჩემი გაჩენა. ყოველ ხუთშაბათს სულმოუთ[illegible]ები. მინდა რომ, წავიკითხო და გავიგო წვრილ-წვრილი ამბები მომღერალთა პირად ცხოვრებაზე. განსაკუთრებით ვგიჟდები ქეთაზე. ღამე სიზმრებად მოდის და დღისით კი აქა-იქ მელანდება. ერთი სული მაქვს როდის მომცემს თქვენი გაზეთი ქეთასთან შეხვედრის საშუალებას. აგერ უკვე რამდენი ღამე გავიდა თეთრად. ქეთა მე შენზე შეყვარებული ვარ. ჩემთვის იმხელა ტრამვა იყო, რომ გავიგე ზურა ხარიძე გიყვარდა, ლამის იმ ვაჟბატონს სპორტის სასახლეში კონცერტის დროს ბოთლი ვესროლე. მადლობა ღმერთს, რომ მეგობრებმა გადამაფიქრებინეს, თორემ მე ხომ უბედური ვიქნებოდი და შენც. ახლა კი უკვე ახალი საფიქრალი გამიჩნდა. ეკრანებზე დათო ხუჯაძე გამოჩნდა, არ ვიცი მართლა გიყვარს თუ არა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თუ ეგ ვაჟბატონი შენს თავში შემეცილება არ ვიცი რას ვუზავ. ჩემი წერილის დასასრულს ჩურჩულით გეტყვი, რომ „მიყვარხარ რა ვქნა მაინც მიყვარხარ“. ახლა კი დაგემშვიდობები და იმედი მაქვს რომ, მალე შეგხვდები ისევ ამ გაზეთის დახმარებით.

ზურა მამედოვი, 15 წლის *(სტილი დაცულია)*

# წერილი ჩემს საყვარელ ლელა წურწუმიას

გამარჯობა ჩემო საყვარელო „ფან-კლუბელებო“. მე ვარ თქვენი ერთგული მკითხველი.

ძალიან მომწონხართ, მინდა თქვენი საშუალებით დაბადების დღე მივულოცო ლელა წურწუმიას.

გამარჯობა ლელა, მე ვარ შენი ფანი, ძალიან მიყვარხარ და მომწონხარ, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ყველაფერ კარგს და მშვენიერს, როგორც პირად ასევე შემოქმედებით ცხოვრებაში.

მინდა მოგიძღვნა ჩემთვის ძალიან საყვარელი ლექსი.

„მიყვარხარ ძლიერ... ძლიერ
რაც გადის დრო და ხანი,
მე უფრო მეტად მიყვარს
შენი პატარა ტანი,
შენი შავი თმის ბუჩქი
ამ თეთრი შუბლის სერი
თვალები გიშრის ფერი
მიყვარხარ ძლიერ... ძლიერ
მიყვარხარ ცხადათ ძალვის



როგორც არასდროს არვინ
არ მყვარებია არვინ“.

*შენი ფანი*
ნინო ყაველაშვილი
*(სტილი დაცულია)*

# კითხვა-პასუხი

**მ**ართალია თუ არა, რომ სტეფანემ რუსულენოვანი სკოლა დაამთავრა?
თაკო, 12 წლის



– მართალია.

**რ**ოდის გამოვა დათო ხუჯაძის ალბომი?



– ამჟამად დათო სწორედ თავის ალბომზე მუშაობს, რომელიც ძალიან მალე გამოვა.

**ჩ**ატარებს თუ არა ლელა კონცერტს ფილარმონიაში?
მედეა ძებისაშვილი, 13 წლის



– ჯერჯერობით ლელას სხვა გეგმები აქვს, იგი ახალ რეპერტუარზე მუშაობს. რაც შეეხება ფილარმონიაში კონცერტის ჩატარებას, იგი, ალბათ, მის სამომავლო გეგმებში შევა.

**ს**ად ხვდება ლელა თავის დაბადების დღეს?



– ლელა თავის დაბადების დღეს ამერიკაში ხვდება.

**რ**ამდენი წლისაა გურამი?
ნატალი, 13 წლის



– გურამი 22 წლისაა.

**მ**აინტერესებს, რომელი პოეტი უყვარს პაატას?
თეო, 12 წლის



პაატა: – ძალიან მიყვარს ტერენტი გრანელის შემოქმედება.

**რ**ა ჰქვიათ ზურა ხაჩიძის მშობლებს?



ზურა: – დედას ჰქვია ლალი, მამას შუქრი, ბებიას კი ტასო.

**რ**ა კერძი უყვარს თეა გვასალიას?



– თეას ძალიან უყვარს ზღვის პროდუქტები და ესპანური კერძები

**ა**ნუკა ჟღენტის საყვარელი სუნამო.
თათული, 17 წლის



ირაკლი: – ანუკას ახლა კაროლინა ჰერერას „შიკი" მოსწონს.

## ჭრელა-ჭრელა ამბები



ქეთას ადრე სკოლაში ტილები დასევია. რა უნდა ექნა ნატას! ადგა და ეს ლამაზი გრძელი თმები სულ გადაპარსა. მერე მოსკოვიდან ჩამოუტანია გრძელი პარიკი. კლასელები გაკვირვებულები უყურებდნენ თურმე ქეთას, სხვა ფერის გრძელი თმა საიდან გაუჩნდაო. ქეთა რისი ქეთა იყო, რომ არ „დაერტყა" ერთი მაგარი ტყუილი. უთქვამს, მამამ ისეთი შამპუნი მომიტანა, თმებს ეგრევე ზრდისო. პარიკი დიდი ხნით უტარებია, მაგრამ ერთხელ კლასელს მოუქაჩია თმაზე და ეს შენი პარიკი ძირს მოფრიალებულა. – "ისეთი ისტერიკა ავტეხე, რომ მთელი სკოლა ფეხზე დადგა", – იცინის ქეთა.



ლიზა ბაგრატიონის ერთგვარი ჰობი აქსესუარების შეძენა ყოფილა. მომღერალი ძირითადად თავად იძენს მათ, მაგრამ თუ ძალიან ძვირადღირებულ ნივთს დაადგა თვალი, ნებისყოფას უხმობს და ტოვებს „მაცდურ ადგილს". წუწუნი საერთოდ არ ყვარებია მომღერალს, გინდა თუ არა ეს მიყიდეთო.



ეკა კვალიაშვილი დაახლოებით 25 წლის იქნებოდა, როდესაც ქუჩაში სკოლელი ბიჭი შეხვდა. თურმე ბიჭმა თავი გააცნო მომღერალს და გაუმხილა, რომ სკოლაში ძალიან უყვარდა. ეკასთვის ეს თავის დროზე სკოლაში ვერ გაუმხელია, ამიტომაც მომღერალს წარმოდგენაც არ ჰქონია ამ ბიჭზე, თუმცა ახლა სიამოვნებით იხსენებს ამ ისტორიას.

– გოუმარჯოს ქართველ თინეიჯერობას! იმ დღეს არ მომასწროს გამჩენმა, როცა მე უარი ვთქვა თქვენს სამსახურზე. ღმერთო კი მომკალი, ამაზე უკეთეს ხალხს ვის უნდა მევემსახურო?! ტაკ! დევიწყოთ!

# ნენა, აი, რა მითხარი?!





თურმე, ახალ ბინაში ყველაფერი ისე დაანწკრიალ-ლააზზრიალა ლელამ, რომ იქ შესულს ზღაპარში გეგონება თავი. ყველაფერს ამ ესთეტი ქალბატონის ხელი ატყვია თურმე. ფერებს რომ შეახამებდა ახლა ლელა, ამაზე ჩემი ტყიპინი რად გინდათ?! როცა მოსიყვარულე წყვილმა გულმოდგინედ მოიწყო საკუთარი ბუდუარი, აღმოჩნდა, რომ პატარა მარიკო საძინებელი ოთახის გარეშე დარჩა. მოგყურებიათ მსგავსი რამ? პატარა ანგელოზი ისე.ე არ დამიტოვეს? ეს რავა მოუვიდათ, ისე მიკვირს, რავარც პრეზიდენტის გადადგომა გამაკვირვებდა ახლა მე. ლელას უთქვამს, არა უშავს, ჩვენთან დავაწვენთ მარიკოსო. ასე რომ, ჩემო კარგებო და მშვენიერებო, პაწკუა მარიკო საკუთარი ოთახის გარეშე დაუტოვებიათ.

***

– მაია ბარათაშვილთან კაი ლოყებღაჟღაჟა ბიჭები რომ მღერიან, ხომ იცით?! ჰოდა, კლიპის გადაღებისას რეებს აღარ ჩადიოდნენ ეს ბიჭები თურმე! ის კადრები ქე გემახსოვრებათ, თორნიკე და ირაკლი ქოთნებს რომ ეზიდებიან სატვირთო მანქანიდან. ჰოდა, ჩემო გვრიტებო, პატარა ძმას – იკაკოს ორჯერ გავარდნია ხელიდან დიდი ქოთანი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა სურათი შეიქმნებოდა, ამხელა ქოთანს რომ დააპერტყებდა მიწაზე ონავარი ბიჭი. რეჟისორს უთქვამს, არა უშავს, გააგრძელეთ გადაღებაო. ისე, რა ნიჭიერი ბიჭია ეს ზაზა ორაშვილი, ჰა?! ნამეტანი გასაგებ და ფერად-ფერად კლიპებს იღებს არა?! სიმღერას ისე მოურგებს კლიპს, რომ თვალს ვერ მოწყვეტ. უიმე, უიმე, რავა გოდოუხვიე გვერდზე ჭაკი ცხენივით.

***

– ამ ხნის ქალი ვარ, რა არ მინახავს და რა არ გამომიცდია, მა-



რა თუთიყუშის „პარალიჩი“ ჯერ არ გამიგია. ჯგუფ „სთეისის“ ლაშა კუკულაძეს ორი საყვარელი და კუსკუსა თუთიყუში ჰყავს. არ მეიკითხოთ და ერთ-ერთ თუთიყუშს თურმე, ნერვიულობის ნიადაგზე „პარალიჩმა“ დაარტყა და ნისკარტი მოღრეცილი აქვს. იმ ბეჩავ ჩიტს ისე საცოდავად აქვს ის პაწია ნისკარტი მოღრეცილი,



რომ საკვებს და წყალს თურმე, ძლივს-ძლივობით იღებს. ხან ერთ მხარეს გადმოუვარდება ნერწყვი და ხან მეორე მხარეს. ლაშა ხშირად თავისი ხელით აჭმევს პაწია ჩიტს საჭმელს და ისე ეფერება, რომ თუთიყუში გათამამებული ჟღურტულს იწყებს. თუ გაბრაზდა, მტრისას, გალიის გისოსებს მოეჭიდება თურმე ამ თავის მობრეცილი ნისკარტით და ზედ ეკიდება. აბა, ასეთ ჭორებს უჩემოდ გეიგებდით?

***

– ჩვენმა უნიჭიერესმა რეჟისორმა და კლიპმეიქერმა ბასა



ფოცხიშვილმა თურმე რა ქნა, რა ქნა და სახე გადაიჭიმა. როგორც გევიგე, ისე უხდება ბასას გადაჭიმული სახე, რომ გეგონებათ სულ სხვა ქალბატონს ესაუბრებით. რატომაც არ მოუხდებოდა რა! რა ცეცხლის ფასს გადეიხდიდა ამ გადაჭიმვაში, ღმერთმა უწყის. მასე ფასონზე გადაჭიმვა კი არა, აგერ დაპლესილი მაქვს სახე და ჩემი თავისთვის ვერ მომიცლია ამ ხნის ქალს. ივა კუზანოვს რომ მივადგე, რავა არ მეიცლის ჩემი გულიზა, მარა სად მაქვს იმდენი ფარა, იმ დალოცვილთან რომ მივძუნძულდე?!

***

– იმ ნიჭიერ გოგოს შემოევლოს ვასასი, რა გვყავს ეს, ვინ არის, ნიჭიერების განსახიერება! ვისზე ვამბობ თუ მიხვდით? აჰა! მეტი არაა ჩემი მტერი. სალომე გასვიანს ვგულისხმობ, ახლა ამერიკაში რომაა და, რომ გადარია მთელი შტატები. უიმე, უიმე, იმფერ დღეში აგდებს თურმე ამერიკელ მუსიკოსებს, ნუ მეიკითხავთ. ერთი არანჟირების ავტორი – ნიკი, თურმე, ჭკუაზე შეშალა. რაც არ მეეწონება ამ თითის სიგრძე გოგოს, იმას არაფრის დიდებით არ იმღერებს. მერე და კომპოზიტორები რა დღეში ჰყავს! ერთ-ერთს, თურმე, ნოტები დოუმალა და მთელი დღე აძებნინა. თვითონ ქე მჯდარა უცოდველი კრავივით. ისე შემოგხედავს, გეგონებათ ცხოვრებაში ფეხი არ დოუდგამს ჭიანჭველისთვისო. კლიპს იღებს ახლა, თურმე და გადასაღებ მოედანზე სულ აპლოდისმენტებს იმსახურებს. მგონი, სწორად დავწერე ეს სიტყვა, არა? ჰოდა,



კლიპმეიქ'ერია თუ მოედანმეიქერი, ქე მოხიბლა მისი არტისტული მონაცემებით და რა გინდა? რას ერჩი? ნიჭი არსად არ იკარგება – გინდა ამერიკაში წადი და გინდა კიდო იმის იქით. აპა, რავა! ჰო, მართლა. ინგლისური ისთე გამართულად იცის, თურმე, პირდაპირ ამერიკული, ბეტეერივით, არაკრაკებს. მე ერთი „გუდბაი“ ვიცი და „სოუ-სოუ“, ისიც, რომელი – რა ადგილას უნდა ვიხმარო, კი არ ვიცი. ხო, ხო, გეიცინეთ ახლა და გეიხედეთ გვერდზე! მე ამათთვის კაი მინდა მგონია და ესენი, ფუი!

# კითხვა-პასუხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რ**ამდენი ალბომი აქვს ენრიკეს?



– ენრიკეს აქვს ოთხი ალბომი: ორი ინგლისურენოვანი და ორი ესპანურენოვანი.

**ჰ**ყავს თუ არა და-ძმა ანჯელინა ჯოლის?



– ანჯელინას ჰყავს ერთი ძმა – ჯეიმსი.

**მ**აინტერესებს დარენ ჰეისის სიმაღლე.



– დარენ ჰეისის სიმაღლეა 178 სანტიმეტრი.

**ე**მინემის კლიპში „Lose Yourself" გადაღებული პატარა გოგო რეპერის შვილია?



– კი, ეს გოგონა ნამდვილად ჰეილი ჯადია.

**რ**ოდის დაშორდა რიკი მარტინი თავის ოფიციალურ საცოლეს – რებეკა დე ლა ალბას?



– წყვილი ერთმანეთს 2000 წელს დაშორდა.

**რ**ა ჰქვია ქრისტინა აგილერას ახალ ალბომს?



– ალბომს ჰქვია „გაშიშვლებული“ (Stripped).

**ჰ**ყავს თუ არა ჯასტინს შინაური ცხოველები?



– ჯასტინს ჰყავს ორი ძაღლი: ბერლი და ბელა.

**რ**ომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული ტიციანო ფერო?

– ზოდიაქოს ნიშნით ტიციანო არის მერწყული.

**ჯ**ულია რობერტსმა ოფიციალურად რამდენჯერ იქორწინა?



– მან ორჯერ იქორწინა 1991 და 1993 წელს.

**რ**ამდენი წლის იყო შაკირა, როცა მისი პირველი ალბომი გამოვიდა?



– იგი იყო ცამეტი წლის.

**რ**ომელ დიზაინერთან იცვამს Pink-ი?



– უნგაროსთან, დოლჩე-გაბანასთან და სხვა.

**რ**ა ჰქვიათ „Atomic Kitten"-ის წევრებს?



– „Atomic Kitten"-ის წევრებს ჰქვიათ: ნატაშა, ჯენი და ლიზი.

**მ**ართალია, რომ მადონა მესამე ბავშვზეა ფეხმძიმედ?

– ასეთი ინფორმაცია ბრიტანულ პრესაში მართლაც გავრცელდა, მაგრამ მადონას წარმომადგენელმა იგი კატეგორიულად უარყო.



**ს**ადაურია სელინ დიონი?



– სელინ დიონი კანადელია.

# ვარსკვლავები და ფანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კახა კუხიანიძე:



– საერთოდ ვცდილობ, ყველა კატეგორიის ფანს გავუგო და დაველაპარაკო. ისინი არანაირად არ მაწუხებენ, ან როგორ უნდა შემაწუხონ როდესაც მოდიან და მეუბნებიან, რომ ვუყვარვარ. ამ დროს მე ვალდებულიც კი ვარ მათი სიყვარული გავიზიარო, მივილო და სიყვარულითვე ვუპასუხო. უყვარხარ ხომ არ სძულხარ – აქედან გამომდინარე, არ მესმის იმათი ვინც თვლის, რომ ფანები შემაწუხებლები არიან. მათ ხომ თავიანთი კუმირების ხმის გაგონება სურთ. მე პირადად, ყოველთვის სიამოვნებით ვთანხმდები სურათების გადაღებაზე და ავტოგრაფის მიცემაზე. ვიღებ საჩუქრებს, რომლებსაც ყოველთვის ვინახავ. ერთ მშვენიერ დღეს ჩემს დეპოზიტზე ანგარიში შევსებული დამხვდა, რამაც ძალიან გამახარა, თუმცა არ ვიცი ეს რომელმა ფანმა გააკეთა. ხშირად მომდის მესიჯები, რომ ვუყვარვარ. სახლში ვინახავ უამრავ წერილებს და პერიოდულად ვკითხულობ მათ, რითაც ვგებულობ ვინ როგორი აზრისაა ჩემზე.

## თაკო გაჩეჩილაძე:

– არანაირად არ მაწუხებენ. ადრე იყო შემთხვევები ხან რას მჩუქნიდნენ და ხან რას. უფრო სწორად, კარებთან ყვავილები მხვდებოდა. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, არც ერთი მათგანი არ ვიცი ვინ არის. ამჟამად, აღარ რეკავენ და საერთოდ, აღარ ვგრძნობთ მათგან დამღლელ ყურადღებას. ეტყობა მიხვდნენ, რომ უაზრო იყო კარებთან მოსვლა და შემდეგ გაუჩინარება.



## ზურა ხაჩიძე:



– ძალიან ბევრი ფანია ისეთი, რომელიც თავისი ქცევით მახსოვს. ერთ-ერთი მათგანი სოფო დავითაშვილია. იგი ყოველთვის ყურადღებითა და მეგობრული ურთიერთობით გამოირჩევა. არასდროს არაფერი ავიწყდება და არ გამოეპარება რამე. ფანები უამრავ სათამაშოებს მჩუქნიან, ძირითადად ფუმფულა სათამაშოებია. ერთხელ, დაბადების დღეზე სახლში მომაკითხეს და უზარმაზარი „სნუპი" მაჩუქეს. ამ ყველაფერს ერთად ვინახავ და ვიცი, რომ საბოლოოდ ისინი ჩემს პატარას გადაეცემა. მე მას აუცილებლად მოვუყვები თითოეული საჩუქრის საინტერესო ისტორიას. არის კატეგორია, რომელიც საკმაოდ ცუდად გამოხატავს სიყვარულს კუმირის მიმართ, უფრო მეტიც, ისინი უზრდელები არიან. ამ დროს ნერვებს ვერ ვიკავებ და უხეში ვარ მათთან მიმართებაში. საბოლოო ჯამში, ძალიან მსიამოვნებს ჩემს ფანებთან ურთიერთობა და კონტაქტი.

## ლაშა კუკულაძე:



– ცუდი დამოკიდებულება ნამდვილად არ მაქვს ფანებთან. მათთან ძირითადად ტელეფონით მიწევს კონტაქტი. ზოგიერთი მათგანი მაშინ რეკავს როდესაც ან სტუმარი მყავს ან სახლიდან გასვლას ვაპირებ. ამიტომაც, მალე ვუკიდებ ყურმილს. მათ კი ჰგონიათ, რომ არ მაინტერესებს ფანებთან კონტაქტი და სიტყვაძუნწი ვარ. სიმართლე გითხრათ, ტელეფონით გაცნობა არ მიზიდავს. ერთ-ორ კითხვაზე პასუხს კი გავცემ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათთან საუბარს სიამოვნებით გავაბავ. საერთოდ ვთვლი, რომ ფანები დასაფასებლები არიან, რადგანაც ისინი ქმნიან მომღერლებს პოპულარულს და მასისთვის მიუწვდომელს, რომ არა ისინი, ჩვენ – მომღერლები ასეთი დაფასებულები არ ვიქნებოდით. რაც შეეხება მათგან ნაჩუქარ სამახსოვრო ნივთებს, მათ ჩემს ოთახში ვინახავ და სათუთად ვუფრთხილდები. ვიმახსოვრებ ვინ რა მაჩუქა. ვიცი, რომ სიყვარულით მჩუქნიან და თუ მე სიყვარულითვე ვერ ვპასუხობ, სამაგიეროდ, მათ ნაჩუქარ საჩუქარს ვუფრთხილდები და ვინახავ. ვიცი, რომ თითოეული მათგანის სურვილია ორიგინალური საჩუქარი გამიკეთოს და მიზანსაც აღწევენ. ყველა ნაჩუქარი ნივთი ერთმანეთისგან განსხვავდება. ჩემთვის უჩუქებიათ – მძივი, სათამაშოები, მობილური ტელეფონიც კი. მწერენ წერილებს, ლექსებს, მოთხრობებს, რომლებსაც ჩემს უჯრაში ვკეტავ და ჩემდა დაუკითხავად მას ხელს ვერავინ ახლებს. ხშირად დილაობით კარებში შემოაცურებენ წერილს. რასაც დედა ნახულობს ხოლმე, უჩემოდ არ კითხულობს. ერთხელ მთხოვა წამაკითხეო და როცა წავაკითხე ატირდა. ამის შემდეგ არც ერთ წერილს აღარ ვაკითხებ, ვეუბნები, დედა, შენ ძალიან ნერვიულობ და უმჯობესი იქნება თუკი მათ არ წაიკითხავ მეთქი. ყოფილა შემთხვევა, როდესაც უხეშიც კი ვყოფილვარ ფანებთან მიმართებაში. საერთოდ, პირში თქმა მიყვარს როცა რაიმე სათქმელი მაქვს შემოვლით არ ვსაუბრობ. მირჩევნია სიმართლე გავაგებინო ვიდრე ტკბილად მოვატყუო. ამიტომაც, როცა საუბარი არ მინდა უხეშად ვიშორებ აბეზარ თაყვანისმცემლებს. მე არ მეშინია ამით დავკარგო ფანი, რადგანაც ვისაც ვუყვარვარ, ვუყვარვარ ისეთი როგორიც ვარ.



## თიკა ჯამბურია:

– ძალიან ხშირად მირეკავენ და მერე მითიშავენ. ზოგჯერ იბნევიან და მეკითხებიან რა გქვიაო. ამაზე მეცინება. ერთმა ბიჭმა ძალიან დიდი ვარდები მომართვა დაბადების დღეზე. ძალიან მომეწონა. ერთმა გოგონამ კართან დამიდო ნახატი, რომელზეც გამოსახული იყო ფრაგმენტი ჩემი კლიპიდან „ჯეირანი". ძალიან მსიამოვნებს როდესაც ისე კონტაქტობენ ჩემთან, რომ არ მაწუხებენ. აბა რა სასიამოვნოა, როდესაც დღეში 20-ჯერ დაგირეკავენ და გიკიდებენ ყურმილს.





## მამუკა ონაშვილი:

– ფანები ის ხალხია, ვისაც პატივს ვცემ. არასდროს უარს არ ვამბობ მათთან ფოტოების გადაღებაზე და ავტოგრაფის მიცემაზე. ხშირად უჩუქებიათ ჩემთვის ფუმფულა სათამაშოები, მწერენ წერილებს, მიგზავნიან მესიჯებს, ლექსებს – მამუკა გვიყვარხარ და გვიყვარს შენი სიმღერებიო. მე პირადად არასდროს არ შევუწუხებივარ მათ.



## ეკა მანიჟაშვილი („ემი"):

– ძირითადად ჩვენთან პატარა გოგონები რეკავენ და გვეცნობიან. ხშირად რეკავს 12 წლის ელენე, რომელიც უკვე ისე შეგვეჩვია, რომ გვეჭორავება კიდეც. [illegible] ჩხუბებს და პირად ცხოვრებაზე გველაპარაკება. ბიჭები [illegible] თავიანთი „კანდიდატურის" [illegible] გადაღებას. ხშირად ჩვენს მეზობლებს მოჰყვებიან თავიანთი კლასელები, კარზე გვიკაკუნებენ და ავტოგრაფებს გვთხოვენ. თაყვანისმცემლები ყვავილებს და შოკოლადებს გვიგზავნიან. ამ საჩუქრებს ძირითადად კარებთან მიუჩენენ ადგილს, რასაც დილაობით ჩვენი კარის მეზობელი ქალი ნახულობს ხოლმე. მერე მოგვიკაკუნებს და გვატყობინებს, რომ ჩვენთან საჩუქარია. ყვავილებში ხშირად ბარათია ჩადებული – ძალიან მიყვარხარ. გვწერენ ლექსებსაც. ერთი ბიჭი რეკავს, რომელმაც უკვე შემაწუხა გინდა თუ არა თმები შეიჭერიო და თან მარწმუნებს, რომ ძალიან მომიხდება. იას ერთი ლევანი ეკონტაქტება, რომელმაც უკვე აუვსო მოთმინების ფიალა. კონცერტებზე ყოველთვის წინა რიგებში „ეჩითება" და ხელს უქნევს, – შემხედე აქ ვარო. ერთი არმენაა, რომელიც კონცერტის შემდეგ მოვიდა და ტიროდა, თუ ჩემთან ფოტოს არ გადაიღებთ აქედან არ წავალო. ახლობელი ბიჭი დაინდვა მისი საცოდაობით და გვთხოვა, გადაიღეთ და გაუშვით ეს საწყალიო. პრინციპში ძალიან არც გვაწუხებენ ისინი.

## ჭრელი ჭრელი ამბები

მას „უფროსი დიჯეის" სტატუსიც კი მიანიჭეს. ამის მიზეზად, მუსიკალური წამყვანი თავის მოვალეობად წესრიგის დამყარებას, ტიხრების განახლებას და ეთერის გალამაზებას მიიჩნევს.



იცით თუ არა, რომ მერაბ სეფაშვილმა მუსიკის სფეროში მოღვაწეობა 13-14 წლის ასაკში დაიწყო. მან თავის მეგობრებთან ერთად შექმნა ანსამბლი, სადაც თვითონ დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავდა. რეპეტიციებს ანსამბლი ნაძალადევის რაიონის კულტურის სახლში მართავდა. სამი თვის შემდეგ შეიქმნა ჯგუფი, სადაც მერაბი უკვე მღეროდა და კონცერტებზე გამოდიოდა. პროფესიულ სცენაზე კი პირველად 15 წლის ასაკში გამოვიდა, მაშინ, როდესაც გივი გაჩეჩილაძემ სახელმწიფო ჯაზ-ორკესტრ „რეროში" მიიწვია. სწორედ მაშინ გასჩენია მომღერალს იმის იდეაფიქსი, რომ ფილარმონიის სცენაზე გამოსულიყო.



ია ფარულავა ჭიქების შეგროვებით ყოფილა გატაცებული. გატაცება მსახიობს ამერიკაში ცხოვრების დროს გაუჩნდა. იას კოლექცია ოცი ფერადი ჭიქით შემოიფარგლება. კოლექციაში შეხვდებით დაბურული ზედაპირის მქონე წითელ-ყვითელ, მწვანე და ლურჯი ფერის ჭიქებს. ყველაზე ძვირადღირებული ჭიქის ფასი 100 დოლარია და იგი ცნობილი დიზაინერის ნამუშევარია. თურმე, ამერიკიდან ტრანსპორტირებას რამდენიმე ლამაზი ჭიქა შეეწირა.



ისაო, ესაო და თურმე, რადიო „ფორტუნაში" სიმღერიდან სიმღერაზე გადასასვლელი ტექსტი გვანცა კილასონიას შემოღებული ყოფილა. ალბათ, დაფიქსირებულიც გაქვთ, რომ გვანცა ყოველთვის სიმღერის ბოლოსა და მომდევნო სიმღერის დასაწყისს ერთმანეთთან ლოგიკურად აკავშირებს. რადიოში



კარგა ხანია თამთა გოგუაძეს გადაწყვეტილი ჰქონდა ავტომანქანის შეძენა. როგორც იქნა მომღერალმა შეიძინა იგი. თურმე ნუ იტყვით და მხოლოდ ასეთი „კაცური" მანქანა სურდა მომღერალს. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, თუ როგორ ატარებს იგი BMW-ს, მაგრამ ფაქტია, თამთა ისეთი მონდომებულია, რომ სულ მალე ოსტატურად გააქროლებს შინდისფერ ავტომობილს.



ბავშვობაში ლაშა ბუღაძე ძალიან შეუშინებია მეზობლის სიკვდილს.

– "გული მისკდებოდა, რადგანაც მე იმ სადარბაზოში ვცხოვრობდი. შეშინებული ვკითხულობდი: რას ნიშნავს სიკვდილი? რატომ დაემართა? რამდენიმე ღამე არ მეძინა," – ამბობს დრამატურგი. თურმე, ლაშა სახლში უფრო მეტ დროს ატარებდა, ვიდრე ქუჩაში, ამიტომაც, მის დასასჯელად დედა შემდეგ ფრაზას ამბობდა: – თუ არ დამიჯერებ, ეზოში ჩაგიშვებო.

ალბათ, გაინტერესებთ, როგორ აუხსნა სიყვარული გურამიკო ლომიძემ ხატიას. ძველით ახალ წელს, 13 იანვარს რესტორან „კრწანისში" ერთ-ერთ „ფართიზე" გურამმა დაპატიჟა ხატია. "ბიჭებმა" "ანგელოზი და ბავშვი" შეასრულეს, ამ დროს გურამი მივიდა ხატიასთან, დაიჩოქა და გოგონა [illegible] აიყვანა. აი, რო-



გორ აუხსნა სიყვარული „ქუჩის ბიჭმა" მომავალ საცოლეს.



თურმე, მხიარული ზვიო ბალიდან მოყოლებული შეყვარებული ყოფილა. ბაღში თეა ჰყვარებია, რომელსაც შუბლზე ხალი ჰქონია. ეს თეა ვილაც ვახტანგსაც მოსწონდა, რომელიც ზვიოზე გაცილებით მაღალი ყოფილა. როგორც "105-ელი" ამბობს, ამ ბიჭზე ეჭვიანობდა. მერე თურმე, რიგრიგობით ყველა კლასელ გოგონაზე გამიჯნურებულა ჩვენი ზვიო. ასე გრძელდებოდა 1997 წლამდე. მას შემდეგ კი ჯერჯერობით ზვიოს გულს არავინ გაჰკარებია.

# ჭრელა-ჭრელა ამბები.



სუპერ ქალბატონმა ჯენიფერ ლოპესმა თავის შეყვარებულს ბენ ეფლეკს სიგარეტის მოწევა აუკრძალა. თვინიერი ბენიც JLO-ს დაემორჩილა და ახლა ძლივს ახერხებს იმას, რომ ამ ცდუნებისაგან თავი შეიკავოს. „სიგარეტი საწამლავია და მე არ მინდა რომ ჩემმა საყვარელმა ადამიანმა თავი ამ საწამლავით მოიშხამოს" – აღნიშნა ლოპესმა.



ავსტრალიელმა მომღერალმა Kylie Minogue-მა ბოლო ალბომის პირველ სინგლზე „Can't Got You Out Off My Head" საკმაოდ ორიგინალური კლიპი გადაიღო. ყველაზე მეტად კლიპში ყურადღებას იქცევს ის საცეკვაო ილეთები, რომლის დადგომასაც ქაილის ქორეოგრაფმა რამდენიმე დღე მოანდომა, თუმცა მათი ათვისება მინოუგს ძალიან გაუჭირდა და მათი შესისხლხორცება მხოლოდ ერთთვიანი დამღლელი რეპეტიციების შემდეგ შეძლო.



როგორც იცით, მომღერალ Pink-ს ჯერ ვარდისფერი თმები ჰქონდა, შემდეგ კი ქერა თუმცა, კლიპისათვის „Jusst Like A Pill" მას თმების შავად შეღებვა მოუხდა. ეს ფერი მას განსაკუთრებულად მოუხდა და ამიტომაც, ახლა მომღერალი სულაც არ აპირებს მის სხვა ფრად გადაღებვას. სხვათა შორის Pink-ი საკუთარი თავის იმიჯმეიქერია და სტილს თავად ქმნის. გამოსდის თუ არა მას ეს საქმე, უკვე თქვენი შესაფასებელია.

# ენრიკე იგლესიასი და მისი ფანები

დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია ესპანელი მომღერალი ენრიკე იგლესიასი, რომელიც თავისი ფანების შესახებ ვრცლად ისაუბრებს, გაიხსენებს მათთან დაკავშირებულ ისტორიებსა და კურიოზებს... ასე რომ, თუ გაინტერესებთ რას ფიქრობს თქვენი კუმირი თავის თაყვანისმცემლებზე მოგვყევით.

„ფანებთან პირველი შეხება დაახლოებით ხუთი წლის წინ მქონდა. მაშინ ჩემი პირველი ესპანურენოვანი ალბომი „Cosas Del Amor"-ი გამოვუშვი და მისი წყალობით უამრავი თაყვანისმცემელი შევიძინე. როცა ბარსელონაში – ჯორდის საკონცერტო დარბაზში პირველი სოლო კონცერტი გავმართე, ფანე-



ბი კულისებში შემოიჭრნენ და ფოტოების გადაღებასთან ერთად ჩემი კოცნაც მოინდომეს. ასეთ სიტუაციებს აქამდე შეჩვეული არ ვიყავი და მართალი გითხრათ, თავი ცოტა უცნაურად და არაკომფორტულად ვიგრძენი. დაცვამ გოგონები საგრიმიოროდან მაშინვე გაიყვანა, მაგრამ კიდევ კარგა ხანს ვერ მოვედი გონს.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩემი ფანების 99 პროცენტი გოგონები არიან, ისინი ძალიან ხშირად ცოტა უხერხულ სიტუაციაში მაგდებენ. ადრე მათთან ურთიერთობაში ძალიან მორცხვი ვიყავი, თუმცა ახლა უკვე მივეჩვიე და კონცერტების დროს რამდენიმე ფანი სცენაზე ამომყავს. მათ ვამღერებ და ვეცეკვები...

სამწუხაროდ, ისიც უნდა ვაღიარო, რომ რამდენიმე მანიაკი ფანიც მყავს. როცა ტურნეს დროს სასტუმროში ვჩერდები – ისინი ჩემს ნომერში შეჭრას ცდილობენ და დაცვას დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ ისინი დააკავოს. იყო რამდენიმე შემთხვევაც როცა გოგონები ჩემს ოთახში რაღაცნაირად მაინც შემოიპარნენ და თან ჩემი პირადი ნივთები წაიღეს.

როცა ამდენ ადამიანს უყვარხარ ეს ძალიან კარგი და სასიამოვნოა, მაგრამ ზოგჯერ ზედმეტი ყურადღება და სიყვარულიც გამაღიზიანებელი და დამღლელია. ამის გამო, ხშირად დეპრესიული მომენტებიც მაქვს. ამ დროს ვცდილობ ხალხს გავეცალო და სიმშვიდეში საკუთარ თავთან მარტო დავრჩე. ასეთი ადგილი კი არის მაიამიში მდებარე ჩემი ვილა, სადაც ძირითად დროს ჩემ ძაღლთან ერთად ვატარებ.

ფანების მხრიდან ძალიან გამაღიზიანებელია, როცა ისინი ჩემს პირად ცხოვრებაში ყოფენ ცხვირს, ხშირად ამის გამო საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა გვიფუჭდება, რაც თავისთავად ძალიან არასასიამოვნო მომენტია. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ჩემმა ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა ფანმა მარიამ ჩემს გელფრენდს – ანა კურნიკოვას დაურეკა და საშინელი რაღაცები უთხრა. მაშინ ისე გავმწარდი, რომ ყველა ჩემი ფანი მეზიზღებოდა, მაგრამ ამ გრძნობამ მალე გადამიარა."

***– რომელი იყო ყველაზე დიდი სიგიჟე, რომელიც ფანებთან დამოკიდებულებაში ჩაგიდენია?***

– არ ვიცი ამას რამდენად შეიძლება დაერქვას სიგიჟე, მაგრამ შარშან კონცერტის დროს ერთი ფანი სცენაზე ავიყვანე და ვნებიანად ვაკოცე. ამ ჟესტს საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

***– ამბობდნენ, რომ ეს ჟესტი შოუს ნაწილი იყო – მართალია?***

– არანაირად. ეს შოუს ნაწილი რომ ყოფილიყო მას ყველა კონცერტის დროს გავიმეორებდი. უბ-





რალოდ იმ დროს ასეთი სიგიჟის გაკეთება მომინდა, მე კი, ჩემს სურვილებს ყოველთვის ვიკმაყოფილებ.

***– რომელი იყო ყველაზე გრანდიოზული საჩუქარი, რომელიც ფანისგან მიიღე?!***

– ასეთი უამრავი იყო. ყველაზე მეტად კი მაინც ფანის მიერ დახატული ჩემი პორტრეტი დამამახსოვრდა. ეს სურათი ძალიან გემოვნებით იყო გაკეთებული.

ჩემს პერსონალურ ვებ საიტზე ფანების გამოგზავნილი უამრავი წერილი მოდის, ყველაზე პასუხის გაცემას მე ბუნებრივია ვერ ვახერხებ, მაგრამ ზოგიერთ მათგანს მაინც ვპასუხობ.

ვცდილობ ჩემს თაყვანისმცემლებს ხშირად მოვუმზადო საინტერესო სიურპრიზები და გამოვუშვა ახალი და კარგი სიმღერები, რადგან ვიცი, რომ ჩემი ახალი ალბომი მათთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარია.

*მოამზადა*
**თამთა მჭედლიშვილმა**

# ანეკდოტები

ბაზარში:
– რითი კვებავთ ამ ქათამს?
– რაშია საქმე?
– მეც მინდა ასე გახდომა!

* * *

– ოფიციანტ! ჩემს კერძში ტარაკანი დაცურავს. რას ნიშნავს ეს?
– რატომ გგონიათ, რომ ვალდებული ვარ სხვადასხვა ცრურწმენა აგიხსნათ?

* * *

ცენტრალური უნივერმაღის ცნობათა ბიუროში კაცი მიდის.
– ქალიშვილო, ცოლი დავკარგე!
– დამკრძალავი ბიურო მეოთხე სართულზეა!

* * *

გვიან ღამით ქალი პარკში მიდის. უცებ ესმის ხმა:
– შესდექ!
გაჩერდა.
– დაწექი!
დაწვა.
– გაფოფხდი!
გაფოფხდა. მოულოდნელად ესმის:
– ქალბატონო, ცუდად ხომ არ ხართ. აქ, ძაღლს ვავარჯიშებდი და ვხედავ, თქვენ მიხოხავთ.

* * *

ოჯახი სადილობს. სუფრიდან ჩანგალი ვარდება. ოჯახის უფროსი ჰაერში იჭერს და კმაყოფილი ამბობს:
– გადავრჩით სტუმრის მოსვლას.
სამჯერ მეორდება იგივე. ბოლოს ჩანგალი მაინც ვარდება იატაკზე. კარზე ზარია. შემოდის აქოშინებული სტუმარი:
– მოვკვდი კაცი. ლიფტი სამჯერ გაჩერდა, ბოლოს ძლივს გავაღე კარი და გამოვძვერი.

* * *

საჰარის უდაბნოში ბენზინგასამართ სადგურზე წარწერაა: „ბენზინი აქ ჩაასხით, დანარჩენი სხვა – მირაჟია“.

* * *

ბარში ერთი ზორბა ჯეელი შედის და კითხულობს:
– მცველი გინდათ?
– გვინდა, მაგრამ თქვენი კვალიფიკაცია რომ არ ვიცით?
– ახლავე გიჩვენებთ.
მიუახლოვდა ერთ-ერთ მაგიდას, ქეჩოში სწვდა პირველივე კლიენტს და ფანჯარაში გადაუძახა.
– როგორია?
– დირექტორი უკან რომ შემოძვრება, მაშინ ვილაპარაკოთ.

* * *

– შესანიშნავი ავტომანქანაა. რამდენი ლიტრი ბენზინი ჩადის?
– არ ვიცი, მაგის გასარკვევი ფული ჯერ არა მაქვს.

* * *

ავტობუსში ქალს მიმართავენ:
– ქალბატონო, მე კონდუქტორი ვარ და არა თქვენი ცოდვების შემსყიდველი.

* * *

თვითმფრინავი აეროპორტში ეშვება. მგზავრები ტრაპზე ჩამოდიან. ერთს შარვალი ჩასძვრა. სასწრაფოდ იწევს და თან ბურტყუნებს:
– ამ დაწყევლილმა აეროფლოტმა სულ ამირია გონება – ხან შეიკარით ქამრები, ხან გაიხსენით ქამრები...

* * *

მყიდველი მიმართავს გამყიდველს:
– ვერ გამიგია, ეს ყველი შვეიცარიიდან გამოგზავნილია თუ გამოსახლებული?

* * *

დამკრძალავ ბიუროში:
– რას მირჩევთ, რომელი კუბო სჯობს?
– ძნელი სათქმელია, – პასუხობს თანამშრომელი, – თუთიის, რასაკვირველია, მუდმივია, მაგრამ ხის ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

# სკანვორდი










დედანის კოპიო
მომღ. ქაცარავას სახელი
... ქეისი
„ილიადას“ ავტორი
ერთგვარი საწოლი
„მოჩვენება“ მთავარი როლის შემს. ქალი
სადეზინფექციო სითხე
წლოვანება
ერთგვარი აეროზოლი
გეომეტრიული ფიგურა
მზის ჩასვლა
ტომ კრუზის საცოლე
ფუტკრის სახლი
პირველი ნოტი
ქართული ზღაპრების პერსონაჟი
არაბი მმართველი
„ლურჯი ფრინველის“ ერთ-ერთი შემსრ.
„მამლუქის“ ავტორი
ლაბორატორიული ჭურჭელი
ალკოჰოლური სასმელი
ის, რაც გამოქვაბულს არა აქვს
ერთგვარი ჯილდო
ქართველი დიზაინერი
დამასკო – ქვეყანა
ტბა თბილისში
ტროპიკული ხილი
ჩარკვიანის სახელი
თევზის „სახლი“
ერთგვარი მწერი
სასწრაფო თბილისში
ტომ ...
სოლო პარტია ოპერაში
ევრაზიის ნაწილი
კუთხე საქართველოში
ქართველი კლიპმეიკერი
60 წუთი
მსახიობი ელიავა
დასარტყმელი ინსტრუმენტი
ტყის მხალი
ფაქიზი
საგვემვო ჟურნალი
გურამ ლომიძის მეუღლე
უზრუნველი ცხოვრება



ძაბვა

ერთგვარი ფხალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ფირმა

... ჩარლზი

წყლიანი ადგილი უდაბნოში

ცივი იარაღი

თმის სალებავი

ერთ-ერთი სისხლძარღვი

კიდობანის მშენებელი



ხორციანი ხაჭაპური სვანეთში

მთ.როლის შემსრ. ფილმში „სიჩქარე"

ვივიენ ...

გამარჯვება, ანუ

ხმის გამოძახილი

წინასწარ აღებული ფულის ნაწილი

„ვეფხის ტყაოსნის" პერსონაჟი

დღის საზომი ერთეული

თანხმობა იტალიურად

ბარათაშვილის ზედმეტსახელი

შხამიანი გველი

რუხი ანუ ...

ძველი ქართული ჯგუფი

ქართველი მწერალი (მორჩილაძე)

ბრიტნის კონკურენტი მომღერალი

მუს. ნოტი

„ლეონი" მსახიობი

კრუხის „შვილი"





მლაშე ფხვნილი

მოკლე ქვედაბოლო

„აეროსმიტის" სოლისტის ქალიშვილი

ქართული ჯგუფი

სივრცე, ჰორიზონტი

ქართველი მომღერალი (ჩანტლაძე)

ქვიშა

ქალის სახელი

ერთგვარი სახელი

ერთგვარი კანფეტი

ჯულიეტას სატრფო

... გელოვანი

უბრალო

ყველაზე გრძელი მდინარე

სამაგიდო თამაში

ჭამის სურვილი

სამიანი კამათელზე



ციხის ოთახი

ბაქანიანი ამფიბია

ცუდი ნიშანი

„ცისარტყელების" მომღერ.

მწვავე სითხე

თავბრუდასხმა

ვეფხის ფორმის ნახევარკუნძული



ცხოველის თათი

ლოპესის ექსმეუღლე

ერთგვარი კავშირი



საარსეთი

„უცნობის" წამყვანი

უქელო ორგანო

ჰოლივუდის მსახიობი

სასვენი ნიშანი

რომის პაპის რეზიდენცია

ტაბიძის მუზა

# ანეკდოტები

ფირმის უფროსი მეგობარს ურეკავს;

– კარგი, ნესიერი ბუღალტერი არ გეგულება სადმე?

– კი, მეგულება, მაგრამ ერთი წელი კიდევ უნდა იჯდეს.

***

**პარიკმახერმა პარსვისას კლიენტს რამდენჯერმე კანი გაუჭრა.**

**მდგომარეობიდან გამოსასვლელად ეკითხება:**

**– თქვენ ადრე იყავით ჩვენთან?**

**– არა, ხელი ომში დავკარგე.**

***

ტურისტი ეკითხება ადგილობრივ მაცხოვრებელს:

– ვერ მეტყვით, როგორ ავიდე სწრაფად ამ მთაზე?

– მოითმინეთ, ჩემს ძაღლს ახლავე ავუშვებ.

***

**– იცით, რომ ჩემი ძმისშვილი თქვენთან მუშაობს?**

**– რასაკვირველია, ვიცი. უკანასკნელი ფეხბურთის მატჩის დროს თქვენი დაკრძალვისათვის დამეთხოვა.**

***

კლიენტი სასტუმროს ადმინისტრატორს გაბრაზებით ეუბნება:

– ეს რას ჰგავს? რა სასტუმროა? ყოველღამე ორი თაგვის ჩხუბი მაღვიძებს.

– 10 დოლარად ხარების ჩხუბს ელოდით?

***

**ქუჩაში:**

**– უკაცრავად, ას დოლარს ხომ ვერ დამიხურდავებთ?**

**– არა, ვერ დაგიხურდავებთ, მაგრამ კომპლიმენტისთვის დიდი მადლობა.**

***

ჰოლივუდი. მსახიობმა სახიფათო ტრიუკი უნდა შეასრულოს.

– მისმინეთ, – ეუბნება რეჟისორს, – უფსკრულის თავზე გაჭიმული თოკი ხომ არ გაწყდება?

– ყოჩაღ, შესანიშნავი აზრია!

***

**საწარმოს ხელმძღვანელმა თანამშრომელი დაიბარა:**

**– ხვალ კანადაში მიემგზავრებით მივლინებაში. კანადელებზე რა აზრის ხართ?**

**– მიმაჩნია, რომ კანადაში მხოლოდ ჰოკეისტები და მეძავები ცხოვრობენ.**

**– აბა, აბა, ფრთხილად! ჩემი ცოლი კანადელია!**

**– მართლა? რომელ გუნდში თამაშობს?**



***

უკაცრიელ კუნძულზე მოხვდნენ ინგლისელი, ფრანგი და სვანი. ასე გავიდა რამდენიმე წელი, სანამ ნაპირზე ბოთლი არ გაირიყა. გახსნეს ბოთლი, ჯინი ამოვიდა და ეუბნება:

– თქვენ გამათავისუფლეთ, ამიტომ თითოეულს ორ სურვილს შევუსრულებ.

გახარებულმა ინგლისელმა წამოიძახა:

– ფულით სავსე ტომარა და სახლში! – და გაქრა!

ფრანგმა ინატრა:

– ქალები და სახლში! – და გაქრა.

დარჩა რუსი მარტო, მოსწყინდა, იფიქრა და ჯინს ეუბნება:

– ბასრი ხანჯალი და ორივე უკან დააბრუნე. შური უნდა ვიძიო. რაც აქა ვართ სულ დამცინოდნენ.

# საკანვორდი



# სკანვორდი




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყურადღება, ყურადღება!

მათ, ვინც შეაგროვა გაზეთ "ფან-კლუბში" გამოქვეყნებული ბარათები 1, 2, 3, 4 და აქვთ სურვილი შეხვდნენ ქეთა თოფურიას, უნდა დაგვიკავშირდნენ "ფან-კლუბის" რედაქციაში ხუთშაბათს, 13 თებერვალს 18 საათზე. მკითხველთა შორის შეირჩევა 10 ყველაზე აქტიური მკითხველი და ისინი პირისპირ შეხვდებიან ქეთას. დანარჩენს კი მომღერალი ტელეფონით გაესაუბრება. საუბრის ხანგრძლივობა შეზღუდულია და თქვენ საშუალება გექნებათ ქეთას მხოლოდ ორი წუთი ესაუბროთ. დიალოგი საყვარელ მომღერალთან შედგება კვირას 14 საათიდან.

**4** "ფან-კლუბი" №4, 2003

## ყურადღება!

ნებისმიერი კითხვა, რომელიც გსურთ დაუსვათ თქვენთვის საყვარელ პიროვნებას და შესაბამისად მიიღოთ პასუხი, უნდა ჩააწერინოთ გაზეთ "ფან-კლუბის" ოპერატორს ორშაბათს ან პარასკევს 14-დან 15 სთ-მდე. წერილები კი გამოგზავნეთ მისამართზე: კოსტავას 14, მე-2 სართ., გაზეთი "ფან-კლუბი"

## აბა, გამოიცანი









მათ, ვინც გამოიცნობს ვინ არიან გამოსახულნი ამ ფოტოებზე, დაგვიკავშირდით ორშაბათს, 15 საათზე. ტელ: 98-95-79